ნესტან სულავა

წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოლოგიური მოღვაწეობიდან

მოკლე შინაარსი

წმ. გიორგი მთაწმინდლის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე განისწავლა გალობაში. იგი ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები, რითაც თავის თანამგალობელთ აღემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანცთელს და მიქაელ მოდრეკილს.

წმ. გიორგი მთაწმინდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმინდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელთა საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევად დარჩა, რასაც წმ. გიორგი მთაწმინდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს, *მეხელნი მოძღურად მყვანნო.* წმ. გიორგი მთაწმინდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდლის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის მიერ გალობის ბერძნულ გვარზე, ერთხმიანი გალობის, შესრულების შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რაც ბიზანტიის იმპერატორმა შენიშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან იცოდა ქართული და ბერძნული გალობების გვარების სხვადასხვაობა; მისი სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას.

ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად, ჰიმნოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა მრავალხმიანი, რაც იოანე პეტრიწს კლასიფიცირებული აქვს ხმათა მიხედვით („მზახრ/პირველი, ჟირ/მეორე, ბამ/ბანი“).

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმინდლის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც მან დაამტკიცა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია. საფიქრებელია, რომ IV საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას, საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს – პოლიფონიურობას. მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოელინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა ადრევე შევიდა, ისევე როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

საკვანძო სიტყვები: წმ. გიორგი მთაწმინდელი, გალობის მრავალხმიანობა, ეროვნული ცნობიერება.

Nestan Sulava

FOR THE SAINT GIORGI MTATSMINDELI'S HYMNOLOGY

Abstract

Giorgi Mtsire in his hagiographical work tells us about the polyphony of the Saint Giorgi Mtatsmindeli. He says that Saint Giorgi Mtatsmindeli was educated in the art of polyphony in his youths. He knew all hymns of years and was easily adopted in oral teaching, for this he was excellent within his colleagues and as like his great ancestors Saint Grigol Khandzteli and Mikael Modrekili.

To study the hymnographical heritage and his attitude to the Georgian polyphony we must get acquainted his biography from the Giorgi Mtsire's hagiographical works and also with The Will added to the hymnographical works of Saint Giorgi Mtsatsmineli. On the based of abovementioned works we can say some interesting view about the works of Mekhels' and their heritage's hymnographical works. Traditions ruined from Mekhels' stayed like the guide for the hymnographs of XI century. The Saint Giorgi Mtatsmindeli sayed: *Mekhels' are my teachers, priests.* From the hagiographical works of Giorgi Mtsire we confirm that hymns of Giorgi Mtatsmindeli were polyphonic. Georgian science Ivane Javakhishvili payed great attention to the fact saved in this story about the 80 orphans grew up by the Saint Giorgi Mtatsmindeli, they chanted in front of the Caesar of Byzantium and the Caesar mentioned the polyphonic style of the song. It means that the Caesar knew about the differences of Georgian and Greece chants and he had already mentioned that.

The polyphone of Georgian chants did not begin at once, this was the long period of formation. From the beginning it was monophonic and then it becomes polyphonic. Joan Petritsi classified Georgian polyphonic chants according the phonics: (Mzakhr/first, Jhir/second, Bam/third).

From the polemics within the Patriarch of Antioch and the Saint Giorgi Mtatsmindeli we confirm the canonically of polyphony of Georgian chants. The Saint Giorgi Mtatsmindeli confirms the apostolic history and long independency of Georgian church. At the time of this polemics the canonicality of Georgian chant's polyphony had already been confirmed otherwise the Patriarch of Antioch would reprimanded Saint Giorgi Mtatsmindeli and he would have been accused in noncanonicallity of liturgy. This polemic confirms that the Georgian polyphonic chants are canonical and has long history. It is supposed that the first years Christianity and Christian people in churches did not get used the monophonic style of chants because Georgian folk and traditions were acquainted only to the polyphonic style of songs. It means that the changes in the style of chants must be made from the beginning. The Georgian chants would have changed from the monophonic to the polyphonic from the early stage of liturgy. Diversity is the main detection of Georgian mind, Georgian national spiritual life, diversity is the system of thinking. So it gives us the chance to say that the polyphony must have been the style of Georgian chants from the early stage of our church development. In parallel of Georgian hymnography there were used the old style of Georgian poetry as it was in architect of Georgian church, there are plenty of pre-Christianity elements on Georgian architect.

Key Words: Saint Giorgi Mtatsmindeli, The polyphony Hymns, the Georgian National Spiritual Life.

შესავალი. ქართული საეკლესიო გალობა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ერთხმიანი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ვინაიდან გალობის ხასიათიც განსაზღვრა იმ ქვეყნების სამგალობლო პრაქტიკამ, საიდანაც ქრისტიანობა შემოვიდა, კერძოდ, პალესტინის, ბიზანტიის ეკლესიების გალობამ, რომელთაგან უპირველესი პალესტინაა, როგორც აკვანი ქრისტიანობისა. სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი, თუ როდის შეიძლებოდა ქართული გალობა ბერძნულს დაშორებოდა.

წმ. გიორგი მთაწმინდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობისა და ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანია გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ცნობები და წმ. გიორგი მთაწმინდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის („თთუენი“, „პარაკლიტონი“ და სხვ.) მის მიერვე დართულ ანდერძები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვით წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოლოგიური მოღვაწეობის განსაზღვრა და ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ გამოთქმული შეხედულებების გათვალისწინება.

მსჯელობა. წმ. გიორგი მთაწმიდლის სამგალობლო-ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა ორი მიმართულებითაა შესასწავლი და საკვლევი: 1. ჰიმნოგრაფიული; 2. სამგალობლო, რომელსაც მისი ჰიმნოლოგიური შეხედულებები უკავშირდება.

1. ქართული საღვთისმეტყველო წყაროებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საეკლესიო კალენდრისა და „დიდი სვინაქსარის“ მასალის საფუძველზე, გიორგი მთაწმიდელი შეუდგა თორმეტი თვის საგალობელთა კრებულის - „თთუენის“ შედგენას, რომლის „სრულად ღვთივბრწყინვალედ“ აღსრულებას მან დიდი დრო და ენერგია შეალია. IX-X საუკუნეების ცნობილმა ჰიმნოგრაფებმა წმ. გრიგოლ ხანძთელმა, იოანე მინჩხმა, გიორგი მერჩულემ, იოანე-ზოსიმემ, იოანე მტბევარმა, მიქაელ მოდრეკილმა და სხვებმა ჰიმნოგრაფიის განვითარების მტკიცე საფუძველი მოამზადეს, რის შემდეგაც აუცილებელი გახდა ეპოქის გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი საფეხურის შექმნა ქართული ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. წმ. გიორგი მთაწმინდელმა კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის გათვალისწინება და ახალ კრებულში ძველი ჰიმნების ჩართვაც. ამ მიზნით მან შეისწავლა ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიული ძეგლები, რომლებზეც მას ხელი მიუწვდებოდა და შეუდგა კალენდარული თანმიმდევრობით სე-

ქტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით ყოველი თვის საგალობელთა თარგმნასა და რედაქტირებას, რაც ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაო იყო. ძველ კრებულებში მოთავსებული საგალობლებიდან მან გამოარჩია საუკეთესონი, შეუდარა ბერძნულ დედნებს და პოეტურად და მუსიკალურად გააწყო. რაც აკლდა, ვითონ თარგმნა ბერძნულიდან და ასე შექმნა სრული და უნაკლულო „თთუენი“. წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავად განსაზღვრა „თთუეთა“ მნიშვნელობა ქართველთათვის: *„და ვიდრე აქამომდე ჩუენგან დაფარული ცად, მრავალფერითა მთიებითა მიერ აღსავსე, საჩინოდ ყოველთა ქართველთა ზედა არა ჩუენ, არამედ ღმერთსა გარდაურთხამს, რადთა ჰნათობდეს კიდით კიდემდე ქუეყანისა ნათესავსა ჩუენსა“.*

გიორგი მცირემ წმ. გიორგი მთაწმინდლის შედგენილ თუენს უწოდა *„გჳრგჳნი კათოლიკე ეკლესიისად, შემკული თუალითა და ანთრაკითა“.* კ. კეკელიძემ სამართლიანად შეაფასა მისი ღირებულება ქართული კულტურისათვის: *„სისრულით ამის მსგავსი თთუენი ბერძნულ ენაზედაც კი არ არსებობდა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ წმინდანის ან დღესასწაულის სახელობაზე მრავალ ავტორს უწერია საგალობლები, ერთ ხელნაწერში ერთი რომელიმე ავტორის საგალობლებს აქვს ადგილი, მეორეში – მეორისას, გიორგის კი, შეძლებისამებრ, თავი მოუყრია ამა თუ იმ დღის წმინდანის ყველა ავტორის საგალობლისათვის, რომელიც კი ხელში ჩავარდნია მას. ასე რომ, მისი თხზულება წარმოადგენს ერთგვარ კრებულს მთელი წლის ჰიმნებისას. ამის შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: გიორგის „სათუეო საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან შეკრებილ არს და ერთსა წიგნსა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელიო“. ამიტომ ეს შრომა ფასდაუდებელია ზოგადი ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესასწავლად“* (კეკელიძე, 1960: 226).

წმ. გიორგი მთაწმინდელს თავისი „თთუენის“ შედგენისას სამი ძირითადი წყაროთი უსარგებლია: 1. ანტიოქიაში, წმ. პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარში დაცული „სათუე“; 2. წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში დაცული თვენი, გიორგი თვითონ მოღვაწეობდა ერთხანს ამ მონასტერში და ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას; 3. კონსტანტინეპოლის აია სოფიის მონასტრის თვენი. ი. ლოლაშვილის ვარაუდით, უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეული მათგანი დედანი იქნებოდა. პირველი ორიდან მას გადმოუღია ძირითადი საგალობლები, მესამიდან – სტიქარონნი. გარდა ამისა, რიგი საგალობლებისა ამოუკრებია ქართული წყაროებიდან, რომლებშიც მოთავსებული ყოფილა მეხელების მიერ თარგმნილი ჰიმნები. „თვენის“

საგალობლებზე დაკვირვებამ მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ კრებულისათვის ძველი ქართული ჰიმნები შერჩეული და გამართულია იმ დროის მეცნიერულ დონეზე, ხოლო საკუთარი თარგმანები შესრულებულია პოეტურად და დედნებთან მიმართებით ზედმიწევნილად. საამისოდ წმ. გიორგი მთაწმინდელს ხელი შეუწყო ბერძნული ენის ბრწყინვალე ცოდნამ, დიდმა სამთარგმნელო გამოცდილებამ, ქართული ენის საუცხოოდ ფლობამ და საფუძვლიანმა განათლებამ ჰიმნოგრაფიასა და ლიტურგიკაში.

წმ. გიორგი მთაწმინდელის „თვენის“ წყაროთა გამოვლენას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ლ. ჯღამაიამ (ჯღამაია, 2007). მისი დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ „თვენის“ კალენდარს საფუძვლად მის მიერვე თარგმნილი სვინაქსარის კალენდარი დაუდო, ნათლად იკვეთება მათ შორის განსხვავებაც, რაც ორგვარად შეიძლება დაჯგუფდეს: პირველი, როდესაც თვენის კალენდარი განსხვავდება სვინაქსარის კალენდრისაგან, მაგრამ შეესაბამება კონსტანტინეპოლის სვინაქსარს; მეორე განმასხვავებელი ნიშანი კი არსებითი მნიშვნელობისაა ქართული კულტურისათვის, ვინაიდან თვენის კალენდარში ისეთი წმინდანები მოიხსენიებიან, რომელთაც კონსტანტინეპოლის ეკლესია საერთოდ არ იცნობს და არც სვინაქსარშია მოხვედრილი (ჯღამაია, 2007: 16-17). მასში ერთიანდებიან ქართველი წმინდანებიც, რომლებიც გიორგიმ საგანგებოდ შეიტანა თვენში. ამით წმ. გიორგი მთაწმინდელი ერთგვარად ანგარიშს უწევს იერუსალიმურ-საბაწმიდურ ტრადიციას. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ საქართველოში XII საუკუნეშიც გრძელდებოდა იერუსალიმური და კონსტანტინეპოლური საღვთისმსახურო წესების თანაარსებობა.

„თვენი“ შეიცავს თორმეტ წიგნს, თითოეულში თითო თვის საგალობლებია მოთავსებული. ისინი კალენდარულადაა განლაგებული იმის მიხედვით, როდის რომელი წმინდანის ხსენებაა დაწესებული, ან როდის რა საუფლო დღესასწაული მოდის. საგანგებო კვლევის საგანია ქართული ელემენტის, ანუ ქართველ წმინდანთა შესახებ შექმნილ საგალობელთა ადგილის განსაზღვრა „თვენში“. ცნობილია, რომ ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ითარგმნებოდა ლიტურგიკული დანიშნულების მქონე საგალობლები, რომლებიც მსოფლიო ეკლესიის წმინდანებს შეეხებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიას მოუმრავლდა წმინდანები, დაიწყო ორიგინალური ჰიმნოგრაფიული თხზულებების შექმნა. IX საუკუნიდან უკვე იქმნება საგალობლები ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხ-

ულ მოწამეთა და მოღვაწეთა შესახებ. მიქაელ მოდრეკილის იადგარში შეტანილია ქართველი ჰიმნოგრაფების თხზულებები, კერძოდ, იოანე მინჩხის, ეზრას, კურდანაᲲს, იოანე ქონქოზისძის, სტეფანე სანანოᲲსძე-ჭყონდიდელის, იოანე მტბევრის, თვით მიქაელ მოდრეკილის საგალობლები. აქვე მოთავსებულია ქართული ეკლესიის წმინდანთა, კერძოდ, აბო თბილელის, კონსტანტი კახის სახელზე შექმნილი საგალობლები.

წმ. გიორგი მთაწმინდელის „თვენი“ ამ მხრივ განსხვავებულია „თვენის“ პირველი რედაქციისაგან, სადაც წმ. აბოს, წმ. ნინოს და იოდასაფისადმი მიძღვნილი საგალობლებია მოთავსებული მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა საგალობლებთან ერთად. მან „თვენში“ შეიტანა იოდასაფის, წმ. ნინოს, წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმესადმი მიძღვნილი საგალობლები. წმ. გიორგი მთაწმინდელმა „თვენში“ შეიტანა საგალობლები იმ ქართველ წმინდანთა სახელებზე, რომლებიც თავიანთი საქმიანობითა და ავტორიტეტით ეროვნული მოღვაწეები იყვნენ და მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სამსახურში არ იმყოფებოდნენ, ისინი საერთაშორისო ასპარეზზე გავიდნენ და მათ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიები იცნობდნენ.

წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლები სხვადასხვა რედაქციის იადგარებშიც იყო მოთავსებული, ამდენად, თვენში მათი შეტანა ტრადიციითაც იყო განპირობებული. მთავარი კი ის იყო, რომ წმ. ნინო, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ეკლესიის წმინდანად იყო აღიარებული. წმ. იოდასაფის მოსახსენებელი ქართულ ეკლესიას ბიზანტიურზე ადრე ჰქონდა შეტანილი სვინაქსარში. მაგრამ იადგარებში მის სახელზე საგალობლები არ დასტურდება, მხოლოდ თვენის პირველ რედაქციაში ჩნდება. წმ. გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ვარლაამისა და იოდასაფის სახელების შეტანა ბერძნულ მწერლობაში წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის დამსახურებაა. მართალია, თვით იოდასაფი ქართველი მოღვაწე არ იყო, არც ქართული ეკლესიისთვის წამებული პირი, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. წმ. გიორგი მთაწმინდელმა კი თვენის პირველი რედაქციის, ე.ი. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის, გავლენით შეიტანა იოდასაფის მოსახსენებელი „თვენში“.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილ საგალობელთა შეტანა თვენში. ეს საგალობლები თვით წმ. გიორგი მთაწმინდელის შეთხზულია (H-1710, ფ. 64-66; ფ. 109-112). წმ. ეფთვიმეს სახელზე შექმნილ საგალობელთა თვენში შეტანა იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ათონის მთის

ქართველთა მონასტრის კუთვნილება კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო, მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე ამითაც კიდევ ერთხელ წარმოჩენილიყო. საგულისხმოა, რომ გიორგის თავის სვინაქსარში მხოლოდ ეფთვიმეს სახელზე აქვს საკითხავი მოთავსებული, ხოლო წმ. ნინოს, წმ. იოდასაფისა და წმ. ილარიონ ქართველის საკითხავები – არა. ამას, როგორც ვარაუდობენ, საფუძვლად დაედო ის, რომ გიორგიმ თვენი სვინაქსარის შემდეგ შექმნა. „თვენში“ ძირითადად ბერძნულიდან ნათარგმნი საგალობლებია მოთავსებული. წმ. გიორგი მთაწმინდელის „თვენმა“ ლიტურგიკული პრაქტიკიდან ფაქტობრივად განდევნა მანამდე არსებული ჰიმნოგრაფიული კრებულები და იგი დარჩა ერთადერთ მოქმედ კრებულად. წმ. გიორგი მთაწმინდელის „თვენმა“ ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება. მაგრამ მან ცვლილებები განიცადა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც იგი არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულის მიხედვით შესწორდა და ქართველ წმიდანთა შესახებ დაწერილი საგალობლები ამოღებულ იქნა.

სექტემბრის თვის საგალობელთა კრებულს ახლავს ანდერძი, რომელშიც ქართული ჰიმნოგრაფიისათვის უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული. კერძოდ, მითითებულია, რომ კრებულში მოთავსებულ საგალობელთა თარგმანები ეკუთვნით მეხელებს, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელსა და თვით გიორგის. წმ. ეფთვიმეს ნათარგმნისათვის გაუკეთებია წარწერა: „ეფთვიმე“. ეფთვიმეს სამ-სამი დასდებელი დაუწერია და „ღმრთისმშობლისად“ არ დაუწერია. როგორც ჩანს, გიორგი ღმრთისმშობლისანებს თვითონ ურთავდა ეფთვიმეს თარგმნილ საგალობლებს. ამასთანავე, როგორც თავადვე ამბობს ანდერძში, ღმრთისმშობლისანთა ნაწილი - „ჯეკმა კეთილნი“ – მეხელთა თარგმნილია. ასევე, მას დაურთავს „მოიხილესას“ თარგმანებიც.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა დიდი დრო მოანდომა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის „პარაკლიტონის“ ბერძნულიდან ქართულად თარგმნას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის სრულყოფა ვერ მოასწრო, რადგან ტექსტი ლიტურგიული თვალსაზრისით გასამართია. მიუხედავად ამისა, იგი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს. მასში მოთავსებულია რვახმიანი საგალობლები, რომლებიც განლაგებულია კვირისა და სადა – ორშაბათი-შაბათი – დღეების მიხედვით. საკვირაო გალობათა კრებულს ბერძნულად „ოქტოიხოსი“ („რვახმანი“) ეწოდებოდა, სადა დღეებისას კი – „პარაკლიტონი“ („ნუგეშინისსაცემელი“). ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ეს ორი კრებული

შეერთებულია და მთლიანობაში „პარაკლიტონად“ არის წარმოდგენილი. სტრუქტურულად იგი ორადაა გაყოფილი: პირველი შეიცავს პირველი ოთხი ხმის - ძირითადი ხმების საგალობლებს, მეორე კი დანარჩენი ოთხი ხმისა – დამატებითი, ანუ პლაგალური ხმების საგალობლებს. მასში მოთავსებულია „გალობანი ღმრთისმშობლისანი“, აღდგომისანი, ჯვარისანი, წინასწარმეტყველთა და მოწამეთანი, მოციქულთანი, ნათლისმცემლისანი, ჯვარცმისანი, მთავარანგელოზთანი, სამებისანი“. საგალობელთა უმრავლესობა ღმრთისმშობელს ეძღვნება. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა Ier-98 ხელნაწერს დართული გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძი, სადაც იგი წერს: *„ჩემსა თარგმნილსა პარაკლიტონსა შინა ასორმეოცი გალობაჲ დამიწერია წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ“.*

წმ. გიორგი მთაწმინდელი საუკუნეების განმავლობაში კანონიზებულ საეკლესიო გალობის ჰანგებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა შეეძლო ახალი მელოდიის შექმნა. საყურადღებოა გიორგისეული „პარაკლიტონის“ საგალობელთა განწესება შვიდეულის დღეთა მიხედვით, რაც განსხვავებულია საბაწმიდური კალენდრის განწესებისაგან. საბაწმიდური კალენდრით მიღებული განწესების მიხედვით, *„დღე კჳრიაკე დღესასწაული არს წმიდისა აღდგომისაჲ და ორშაბათი და სამშაბათი – სინანულისაჲ, და ოთხშაბათი და პარასკევი - ჯუარისაჲ, და ხუთშაბათი - ღმრთისმშობლისაჲ და შაბათი - წმიდათაჲ და სულისაჲ“.* კონსტანტინეპოლური, წმ. გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, რამდენადმე განსხვავებულია: ბერძნულად არის *„პირველად აღდგომისანი და მერმე აღდგომისათა შეუდგინნეს სინანულისანი და სინანულისათა - ჯუარისანი, და ჯუარისათა - მოციქულთანი და მოციქულთასა - წმიდათანი და წმიდათასა - მღვდელთმოძღუართანი და მამათანი და დედათა მოწამეთანი მერმეღა - სულისანი, და სულისათა - ღმრთისმშობლისანი და ესრეთღა დასრულდების ჴმაჲ და რვანი ჴმანი ამას გუარსა ზედა აღწერნეს“* (Ath.-45, 1v).

წმ. გიორგი მთაწმინდელისეული „პარაკლიტონი“ საყურადღებოა მასში მოთავსებულ საგალობელთა წარმომავლობის მიხედვით. „თვენის“ მსგავსად, ისიც რედაქციულად განსხვავდება ბიზანტიური და ადრინდელი ქართული პარაკლიტონებისაგან. მასში თავმოყრილია არა მხოლოდ თვით გიორგის მიერ ახლად თარგმნილი, არამედ ძველად სხვა ჰიმნოგრაფთაგან თარგმნილი თუ შეთხზული საგალობლები, ამოკრებილი სხვადასხვა კრებულებიდან. თვით წმ. გიორგი მთაწმინდელი ამბობდა: *„ნუვის აქუს ეჭჳ, თუ ანუ ბერძულად ანუ ქართულად*

მსგავსი ამისი პარაკლიტონი იპოოს“, რაც იმას ნიშნავს, რომ „თვენის“ მსგავსად, გიორგის რედაქციის „პარაკლიტონი“ უმნიშვნელოვანესი კრებულია, რომელიც ადრეული და XI საუკუნის ჰიმნოგრაფიული პოეზიის ვითარებას წარმოაჩენს და ასახავს. ამასთან, მას ბერძნული პარაკლიტონის შესასწავლადაც ენიჭება მნიშვნელობა.

პარაკლიტონის ხელნაწერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია Ath-45, წმ. გიორგი მთაწმინდლის ავტოგრაფი, რომელსაც წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი წინაბჭე მასში ჩართული კრებულის ზანდუკით. წინაბჭეში საუბარია „პარაკლიტონის“ რაობასა და შედგენილობაზე, იმაზეც, თუ რა გაჭირვებითა და შრომით თარგმნა ეს თხზულება. წინაბჭე გამოაქვეყნა ი. ლოლაშვილმა, რომელმაც მასზე დაკვირვებით დაადგინა „პარაკლიტონის“ ავტოგრაფის შედგენის დრო, 1057-1060 წლები, როდესაც გიორგი იმყოფებოდა შავ მთაზე. წინაბჭეში აღნიშნულია, რომ გიორგის *„პარაკლიტონზე სწორედ შავ მთაზე სვიმეონ საკვირველმოქმედის ლავრაში უმუშავნია. მან წინაბჭის მონაცემებით გაარკვია ის ფაქტიც, რომ გიორგის ეფთვიმე მთაწმიდელი წვრთნიდა სიყმაწვილეში, რომლითაც უარყო თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გიორგი ეფთვიმეს არ იცნობდა“* (ლოლაშვილი, 1982: 18-26).

წმ. გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის, აგრეთვე, სხვა ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულები, კერძოდ: „სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიან“, კ. კეკელიძის განმარტებით, ესაა თვენიდან გამოკრებილი საგალობლები, რომლის შემცველ კრებულს სტიქარონი ეწოდება (ბერძნ. – stixirarion); „სტიქარონნი თუთავაჯნი უძლისპირონი, ვითარცა არიან ბერძულად“; ძლისპირთა მიხედვით გაწყობილი სტიქარონები; „ზატიკნი მრავალფერითა კეთილითა აღსავსე“; „დიდნი მარხვანი“, რომელშიც შეიტანა წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ თარგმანი. მან იგი სრულად თარგმნა, მაგრამ მასშივე დატოვა ექვთიმეს დამატებები; *„მას ჴმანი არ შეუცვლია, მაგრამ არც იმას ცდილა, რომ შეეთანხმებინა მათთვის შესაფერი ჰიმნები“* (კეკელიძე, 1960: 228).

წმ. გიორგი მთაწმინდელი იშვიათი პასუხისმგებლობითა და ნიჭიერებით გამორჩეული მთარგმნელი იყო და მისი მთარგმნელობითი ხელოვნება კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. საგულისხმოა, რომ დიდი მთარგმნელი უსაზღვროდ აქებდა და ადიდებდა მის სახელოვან წინამორბედს: *„ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისა დიდი ეფთუმე აღმოგუბრწყინდა ნათლად და სიხარულად, დიდებად და გურგუნად, გონიერ მყოფელად და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩუენი-*

სა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცუა გონებათაგან ჩუენთა... რომელნი-ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათუს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თუსითა“.

წმ. გიორგი მთაწმინდლის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისა და სამგალობლო მონაცემების თაობაზე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გიორგი მცირე მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე *„უმეტეს ყოველთა ჰასაკის – სწორთა მისთასა წარემატა. და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა“* (ძეგლები 1967: 116), რაც იმას ნიშნავს, რომ ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები ხმათა შეწყობით, რითაც იგი თავის თანამგალობელთ აღემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანძთელს, რომელიც *„წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწადისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად“* (ძეგლები 1963/1964: 281-282), ხოლო თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზე საწელიწდო იადგარი შეადგინა, და მიქაელ მოდრეკილს, რომელმაც *„იღუაწა და ყოველით კერძო შრომად აჩუენა უზეშთაეს ძალისა მისისა“* (S-425, 24r), რათა ქართულ ენაზე არსებული ყველა მეხური საგალობელი შეეკრიბა და ჭეშმარიტებით ჩაეწერა.

2. წმ. გიორგი მთაწმინდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმინდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელებმა თავიანთი მოღვაწეობა X საუკუნის ბოლოსთვის დაასრულეს და XI საუკუნეში მეხური იადგარი უკვე აღარ იქმნებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ, როგორც ჩანს, მეხელთა მოღვაწეობის დიდი, ბრწყინვალე ეპოქა დასრულდა, მაგრამ მათი საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევად დარჩა, რასაც წმ. გიორგი მთაწმინდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს: *„მეხელნი მოძღურად მყვანანო“.* წმ. გიორგი მთაწმინდელი ქართულ გალობას

უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდლის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის გალობის შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რომელმაც ქართველ წმიდა მამას უთხრა: *„განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი“* (ძეგლები 1967: 184); ე. ი. ბიზანტიის იმპერატორმა იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო; ეს სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: „ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა „გუარსა ზედა“ გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოასმენინა, პირადად მის საამებლად იყო მოწყობილი“ (ჯავახიშვილი, 1998: 600), ხოლო მიქაელ მოდრეკილის ანდერძის სიტყვები: *„საყუარელნო, უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოდ ერთი ორ-გუარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო-გიჩნ, ნუცა ურთიერთას წინააღმდგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოდ ორგუარად არს მეხურად; ხოლო შენ რომელი გინე, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“* (S-425, 27r) – ორხმიანობის დადასტურებად მიაჩნია. „ორ ხმაზე რომ არ იყოს საუბარი, რატომ და რისთვის უნდა ყოფილიყო ორი პარალელური ჰანგი ერთი საგალობლისა?“ (ჯავახიშვილი, 1998: 600). მისივე შეხედულებით, ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა ორხმიანი, რასაც ადასტურებენ X საუკუნის მონაცემები და ბოლოს გახდა სამხმიანი, რაც განმარტებული აქვს იოანე პეტრიწს („მზახრ, ჟირ, ბამ“).

ივანე ჯავახიშვილმა დასვა კითხვა, თუ როდის შეიძლებოდა ქართული გალობა დაშორებოდა ბერძნულს. იგი X საუკუნეში უკვე დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს საეკლესიო ქართული გალობის მრავალხმიანობას. კერძოდ, მიქაელ მოდრეკილის ანდერძზე დაკვირვების საფუძველზე განაცხადა: „უკვე მიქაელ მოდრეკილამდე, ე. ი. X საუკუნემდე, „ენითა ქართველთადთა“ იყო სძლისპირნი და საგალობელნი, როგორც „ბერძულნი“, ისევე ქართულნიც. ამნაირად, ბერძნულისაგან განსხვავებული ქართული შემოქმედება საეკლესიო მუსიკის სფეროში მეათე საუკუნეზე უწინარესაც ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1998: 598).

ელენე მეტრეველმა 1971 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში საკამათოდ მიიჩნია ივანე ჯავახიშვილის დათარიღებაც და

გიორგი მცირის ცნობაც. მან თავისი შეხედულება მეტად ფრთხილად გამოხატა: „ვინაიდან კონკრეტულად რა სახის უნდა ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო გალობის კილოები მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ საფეხურზე, ამაზე დღეს ზუსტად არაფრის თქმა არ შეიძლება იმის გამო, რომ არ არის ამოხსნილი ადრებიზატიური ნოტაცია. მით უმეტეს, არაფრის თქმა არ შეიძლება ქართული საგალობლების კილოების შესახებ, რომლებიც ბერძნული საეკლესიო გალობის განვითარების იმაზე ადრეულ პერიოდს ასახავენ (ნევმების თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში), ვიდრე დღემდე მოღწეული ბერძნული ნევმირებული ხელნაწერების – (X საუკუნე) – მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ“ (ძლისპირნი, 1971: 045-048). მანვე სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ საქართველოში მოქმედებდა მრავალკილოიანი საეკლესიო გალობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე. თუმცა ვარაუდობდა, რომ ქართული საეკლესიო გალობა მრავალხმიანი გვიან, XII საუკუნიდან, გახდა (იქვე). შემდეგში მან რამდენადმე შეიცვალა თავისი შეხედულება და მრავალხმიანობა X საუკუნეში რეალურად არსებულ ფაქტად მიიჩნია (მეტრეველი, 2002: 113-114).

მართალია, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკლესიო გალობაც, როგორც ზოგადად ლიტურგია, პალესტინიდან და საბერძნეთიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა მოითხოვდა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმას და მის გამოხატვას ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე აღწევს, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა.

წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძ-მინაწერები და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები უტყუარად მოწმობენ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის დროს ქართული გალობა მრავალხმიანი იყო და მისი საწყისი საუკუნეებს მიღმაა საძიებელი. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის პრინციპები შემუშავდა არა უგვიანეს VII-VIII საუკუნების მიჯნისა, ბიზანტიაში მიმდინარე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული

რეფორმების პარალელურად, რადგან ქართველები სწრაფად რეაგირებდნენ საზღვარგარეთის მონასტრებსა და საღვთისმეტყველო ცენტრებში მიმდინარე სიახლეებზე, და მალევე დაკანონდა; ტერმინოლოგია ჩამოყალიბდა X-XII საუკუნეებში, ხოლო საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თვალსაზრისით განაზოგადა იოანე პეტრიწმა XII საუკუნეში. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თეორიული განზოგადება და სპეციალური დარგობრივ-საგნობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება ხანგრძლივი დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგია. ტერმინთა ჩამოყალიბებას წინ უძღვის პრაქტიკული საქმიანობის ხანგრძლივი პროცესი, რასაც, შესაძლოა, საუკუნეები დასჭირდეს. ზემოხსენებულ ტერმინთა არსებობა X საუკუნეში კი იმას მოასწავებს, რომ საქართველოში ბევრად ადრე ითხზვებოდა ორიგინალური, ქართული, მრავალხმიანი მელოსის მქონე საგალობლები, ე. ი. იქმნებოდა ქართული ეროვნული სამგალობლო ტრადიცია, რის დამკვიდრებასა და კანონიზებას საუკუნეები დასჭირდა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა, ხოლო მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა.

ვფიქრობ, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდლისა და ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის შეხვედრის მიზანზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების საკითხს. პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმინდლისაგან გამოიკითხა ყოველი, რაც მას აინტერესებდა, *„გულისჴმა-ყო პატრიაქმან, ვითარმედ მადლი ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს მის თანა“* და ბერს მიმართა შემდეგი სიტყვებით: *„პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი. და აჰა ესერა, გხედავ მოწყალებითა ღმრთისაჲთა, დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხჳთა კულა ყოველითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ. ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს, არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ მათ თანა გინა ურთიერთარს განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის?“* (ძეგლები, 1967: 151). წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოატანინა წმ. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვანი“ და ანტიოქიის პატრიარქს დაუდასტურა ქა-

რთული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევის საფუძველი, დაიცვა მისი ავტოკეფალურობა: *„ᲐᲮ წმიდაო მეუფეო, რაჲსათჳს-მე ესრეთ ადვილად ჭელ-ჰყავ დიდისა ამისა და მაღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად, და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი გამზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა ვარ მე უნარჩეესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ“* (ძეგლები, 1967: 153); *„... წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უარ-გჳყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და ვსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“* (ძეგლები, 1967: 154). ვფიქრობ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდლის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან მოწმობს ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ დაამტკიცა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა, სამოციქულო წილხვედრილობა და მართლმადიდებლობის განუხრელი დაცვა ისე, რომ არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებლური მიმდინარეობისაკენ: *„ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჟამს ერთგზის გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ არცა მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“* (ძეგლები, 1967: 178). ეს ვრცელი ამონარიდები „წმ. გიორგი მთაწმიდლის ცხორებიდან“ იმისთვის დავიმოწმეთ, რომ გვეჩვენებინა წმ. გიორგი მთაწმინდელის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია.

ჩემი აზრით, ქართული საეკლესიო გალობის გამრავალხმიანების დასრულება მოსალოდნელია არა უგვიანეს VIII საუკუნის I ნახევრისა, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკვე დამთავრდა სამგალობლო რეფორმა; საეკლესიო გალობის რეფორმას საქართველოშიც ამავე ეპოქაში უნდა ჰქონოდა ადგ-

ილი, რადგან ქართველები სწრაფად რეაგირებდნენ უცხოეთის ეკლესიების სიახლეებზე და ითვისებდნენ ყოველგვარ ახალ ლიტურგიკულ წესს. თუმცა იგი შეიძლება ადრინდელიც იყოს, ვინაიდან IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს – პოლიფონიურობას.

მართალია, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას საეკლესიო გალობაც, როგორც ზოგადად ლიტურგია, პალესტინიდან და საბერძნეთიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა მოითხოვდა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმის გამოხატვას მშობლიურ ენაზე აღწევს ყველაზე უკეთ, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა. ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე უცხოურს, რაც მისი სულიერი და ფსიქიკური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულის შენარჩუნებას, ხოლო საჭირო შემთხვევაში – საუკუნეთა მანძილზე ოფიციალურ დონეზე მიჩქმალული, მაგრამ ერის მეხსიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას, გაქართულებას.

რას ნიშნავს გალობის გაქართულება? გალობის გაქართულება ნიშნავს ქართული გალობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების შეძინებას[1]. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გალობა-სიმღერის უმთავრესი თვისება კი მისი პოლიფონიურობაა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ორსავე, საეკლესიო და

1. ნ. უსპენსკიმ მდიდარი მასალის საფუძველზე წარმოაჩინა სლავური გალობის განვითარების ისტორიული სურათი, ეტაპები, მისი მომდინარეობა და დამოკიდებულება ბიზანტიურ გალობაზე, ამავე დროს, მისი განვითარება ეროვნულ ნიადაგზე, რაც ეროვნული და სტილისტური ფორმების ხანგრძლივი ძიებით იქნა მიღწეული (უსპენსკი 1965: 55).

საერო შტოშიც გვაქვს. დაუჯერებელია, რომ მრავალხმიანობა ერთსაცა და მეორეშიც სრულებით დამოუკიდებლივ გაჩენილიყო, ამიტომ ერთი მათგანი უნდა მრავალხმიანობის დამწყები და შემქმნელი იყოს, მეორე მის შემთვისებლად და დამწინაურებლად არის საგულისხმებელი“ (ჯავახიშვილი, 1998: 663).

წმ. გიორგი მთაწმინდელი „თოუენის“ ერთ-ერთ ანდერძში მეხელების ზოგიერთ უზუსტობას, ტექსტის თარგმნისა და გალობის კილოს დადების შეუსაბამობას აღნიშნავს: *„ესე რომელ მეხურნი გალობანი ზოგან ორგუარად დაგვწერიან, გინა დასდებელსა შინა სიტყუად გამოგუცვალებია, ნუვის უკურს, ნუცა ვინ ამაოდ ზრახავს. ესე ვითა დაგვწერია ჩუენ, ბერძულად ესე არს, და ფრიადი ჭირი მინახავს მათსა გამოძიებასა და შეწყობასა და შენდა ორივე დამიწერია, რომელ განჭნათლდე შენ, რად ზრახავ ამაოდ? მეხელთა მას ჟამსა ახლად თარგმნეს და ესთენი მეცნიერება დასდებლისად არა იყო, და გინათუ სიღრმისაგან სიტყჳსა ვერ შეიგნეს, გინა თუ ბუნებასა ეგრე მოაშუნდა, და ვინ უწყის, ჩუენ კულა, რადოდენ ეგების, ბერძულსა დაგვმსგავსებია. და თუ ვინ მეცნიერ იყოს ბერძულისა, ნახოს ძალი და ცნას, რომელ ჭეშმარიტსა ვიტყჳთ. მეხელნი ჩემსა უფრო არავის უყუარან და მოძღურად მყვანან და ღმერთშემოსილად“* (წმ. გიორგი მთაწმიდელი 2007: 467). წმ. გიორგი მთაწმინდელი ტექსტისა და გალობის კილოს უზუსტობას იმით ხსნის, რომ, ერთი მხრივ, დასდებლის მეცნიერება[2] ასე ღრმად განვითარებული არ იყო და სიტყვის სემანტიკურ სიღრმეს ვერ ჩასწვდნენ, მეორე მხრივ, გალობის ბუნებას ასე შეჰფეროდა. ანდერძის შემდგენელი ბუნებაში ქართული ტექსტისა და გალობის შეწყობას, მუსიკალურ მხარეს გულისხმობს, ამიტომაც ტექსტი ყოველთვის სწორად ვერ ითარგმნებოდა. აუცილებელი იყო საგალობლის ტექსტისა და მუსიკის ზუსტი შეხამება ძლისპირებთან, ბოლოს მისი ნევმირება (მეტრეველი, 1966: 170). მართალია, მეხელთა საქმიანობას იგი უმაღლეს შეფასებას აძლევს, მაგრამ მეხელები პროფესიონალ მუსიკოსებად მიაჩნია და არა პროფესიონალ მთარგმნელებად.

მეხელობა ურთულესი პროფესია იყო, მას რვა ხმის სხვადასხვა კილოზე საგალობელთა გაწყობა უნდა შეძლებოდა. მეხელი ისაა, ვინც ხმას უწყობს, ჰანგებს, მელოდიას ახამებს, ხმის შეწყობა კი მრავალ ხმას, ყოველ შემთხვევაში ერთზე მეტ ხმას, გულისხმობს. ტერმინი „მეხური“ კ. კეკელიძემ სრულიად

2. დასდებლის მეცნიერება (ცოდნა) გულისხმობს სტროფის რიტმული სახეს, ძლისპირთან მის რიტმულ შესატყვისობას (მეტრეველი 1966: 170).

სამართლიანად დაუკავშირა ბერძნულ ηχος-ს, რაც ქართულად ჴმას აღნიშნავს: „ეს ტერმინი არის მუსიკალური და აღნიშნავს კილოს საგალობლისა, მეხურად წოდებული ჰიმნი უნდა გალობით იქნას შესრულებული და არა წაკითხვით... ამ მიზნით მათ ხშირად ნიშნები ან ნოტებიც აქვთ დართული“ (კეკელიძე 1960: 606). ე. მეტრეველმა თავდაპირველად ივარაუდა, რომ ნევმების ხმარება ქართველებმა შემოიღეს არა საბაწმიდის ქართველ მოღვაწეთა წრეში X საუკუნის I ნახევარში, არამედ II ნახევარში, კონსტანტინეპოლისა და ათონის ჰიმნოგრაფთა წრეში. მაგრამ ეს ვარაუდი თავადვე უარეო, ვინაიდან X საუკუნის I ნახევრის პალესტინური წარმომავლობის ორი უძველესი რედაქციის იადგარი – Sin. 1 და Sin. 14 ნევმირებულია. მისი შეხედულებით, „მეხური გალობა არის „ჴმეანი გალობის“ ახალი, ყველაზე სრულყოფილი სახე; მეხური საგალობლების შემცველ იადგარებს „მეხური იადგარები“ ეწოდება. ნევმირებული „მეხური იადგარი“ პირველ რიგში სასწავლო წიგნი იყო, განკუთვნილი მგალობელთა განსწავლისათვის“ (მეტრეველი, 1966: 175). მეხელნი იყვნენ პოეტებიც და კომპოზიტორებიც, ვინაიდან ისინი ქმნიდნენ საგალობლის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ტექსტს, რომელსაც უხამებდნენ მელოდიას ძლისპირის მიხედვით, ხელნაწერებში ეს ნევმებით გადმოიცემოდა. ტერმინები „მეხელი“ და „მეხური“ უთუოდ „ჴმეანი გალობიდან“ მომდინარეობენ, ხოლო „ჴმეანი გალობის“ კანონიზება უკავშირდება იოანე დამასკელის სახელს. ამიტომ ეს მოვლენა, საგალობლის ტექსტის თხზვა და მისი მუსიკალურად გაწყობა ერთი და იმავე პირის მიერ, ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც, ბერძნულის კვალდაკვალ, მოსალოდნელია VIII საუკუნის შუა წლებიდან.

გალობის მოძღვრობა უთუოდ გულისხმობს ჰანგის, მელოდიის, კილოს სწავლებას; წმ. გიორგი მთაწმინდელი წერდა: „მეხელნი მოძღურად მყვანან და ღმერთშემოსილად“, ე. ი. მეხელნი, ანუ საგალობელთა მუსიკალურად გამწყობნი, არიან მისი მოძღვრები.

ტერმინების „მეხურისა“ და „მეხელის“ X საუკუნეში არსებობა იმას ნიშნავს, რომ ქართულ გალობას უკვე ჰქონდა საკუთარი ჴმეანობა, მელოდია, ე. ი. ის უკვე იყო განსხვავებული მეორისაგან, ანუ ბერძნულისაგან. ყურადღება მივაქციოთ მიქაელ მოდრეკილის ანდერძში ნათქვამს, რომ მან შეკრიბა „საგალობელნი მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი“. აქ არა მხოლოდ საგალობელთა ბერძნულ-ქართული საგალობლები და მათი ხმით შესრულებაა ნაგულისხმები, არამედ ბერძნულ-ქართული გალობების განსხვავება იგულისხმება. ეს განსხვავება ერთხმიანობა-მრავალხმიანობაში ვლინდება.

ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ქართულად თარგმნის ისტორიას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წმ. ეფთვიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელები წმ. ანდრია კრიტელის საგალობლის თარგმნისას ძლისპირებს არ თარგმნიდნენ, ისინი ადრე ნათარგმნ ძლისპირებს იყენებდნენ. ამ დროისათვის ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ნევმირებული ძლისპირები. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელმა ხმა შეუცვალა წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონს“, „ჴმისაგანცა თჳსისა და ძლისპირთაგან შეეცვალნეს“ და მეექვსე ხმაზე დაწერილი კანონის ტექსტი მეოთხე ხმის მზა ძლისპირებს შეუფარდა, რითაც, ფაქტობრივად, მთლიანად შეცვალა პირველწყაროს სტრუქტურა. ძნელი განსამარტავია, თუ რატომ შეცვალა საგალობლის ხმა წმ. ეფთვიმე მთაწმინდელმა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იმ პერიოდში ხმას არ ჰქონდა მყარად გამოხატული კანონიკური ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც ეფთვიმე გახლდათ, ხმას არ შეცვლიდა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რასაც საპირისპირო მხარეც აქვს.

მოგვიანებით წმ. გიორგი მთაწმიდელმა ეფთვიმესეული ხმა დატოვა, *„დაღათუ ჴმად არა შეეცვალა, გარნა თჳსთა ძლისპირთა ზედა თარგმნად არცა მას გულს-ედგინა“*, თუმცა ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში ადაპტირებულ ძლისპირებზე გააწყო წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მისეული თარგმანის ვერსია. ძლისპირთა და მთელი კანონის მეტრული საზომის შეცვლამ საგალობლის ქართული ვერსია დედანს მკვეთრად დააცილა, რაც საფუძველი გახდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში მისი ტექსტის ხელახლა თარგმნისა არსენ ბერის მიერ, ხოლო მუსიკალურად იოანე კათალიკოსის მიერ გაწყობისა. არსენის სიტყვით, *„უცვალებელად თჳსისაგან ჴმისა, თჳთ მათვე ძლისპირთა ზედა მათთა, რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძულად აღეწერნეს, ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისათა, რომელმან მე (ე. ი. არსენის) თარგმანებისა, ხოლო წმიდისა მწყემსთა-მწყემსსა იოანეს, ქართლისა კათალიკოზსა, ვითარცა კეთილად მორთულსა ორდანოსა ჴელოანთ-მთავრისა სულისასა, ჴმისა დადებისა ჴელ-ყოფად გჳბრძანა, ვინაჲთგან უცხონი იყვნეს ჩუენისა ენისაგან ძლისპირნი ამათნი“* (მეტრეველი 1966: 177). ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ X საუკუნის მიწურულისათვის მეხელის საქმიანობა უკვე ორადაა გაყოფილი: ერთი, რომელიც დაუფლე-

ბულია „დასდებელის მეცნიერებას“, თარგმნის ტექსტს, მეორე, რომელიც ღვთივმიმადლებულია მუსიკალური ნიჭით, მიმართავს გალობის კილოს დადებას ტექსტზე. ამიტომ მეხელები XI საუკუნეში უკვე აღარ არიან.

აქვე მინდა დავსვა საკითხი იმის შესახებ, რომ თარგმნა მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე გადაღებას არ გულისხმობს, არამედ განმარტებას, კომენტირებას. აქედან გამომდინარე, როგორ გავიგოთ გალობასთან დაკავშირებით ნათქვამი „მეხელთა მას ჟამსა ახლად თარგმნეს და ესთენი მეცნიერება დასდებლისად არა იყო“? თარგმნა მხოლოდ ტექსტს შეეხება თუ გალობის კილოსაც? კილოს თარგმნა კი გულისხმობს კილოს ზუსტად გადმოღებას, ანუ ერთხმიანად შესრულებას? ეს კითხვები ბოლომდე პასუხგაცემული არ არის, მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება.

შედეგები და დასკვნები. ამრიგად, ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. ღმერთმა ქართველი ერი გამოარჩია იმით, რომ პოლიფონიური საერო სიმღერა და საეკლესიო გალობა მიანიჭა. მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, სააზროვნო სისტემაა. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული მრავალხმიანობის ტრადიცია, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, ხუროთმოძღვრებაში – ანტიკური ელემენტები, ქართულ ჰაგიოგრაფიაში – სამიჯნურო ამბები. ქართული ქრისტიანული გალობა უნდა გამრავალხმიანებულიყო იმ დროს, როდესაც ეროვნული ცნობიერება საქართველოს მოიაზრებდა მთლიანობაში. საშიშროება არსებობდა უძლიერესი ქრისტიანული იმპერიის – ბიზანტიის მხრიდან, რომლის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორიენტაცია და გეგმა, სხვებთან ერთად, ერთმორწმუნე საქართველოს ბიზანტინიზაციას ითვალისწინებდა. ამიტომ იყო აუცილებელი ყოველივეს გაქართულება, რათა ქართველი კაცის ცნობიერება ეროვნული იდეით, ქართველური ტომების შემკრები იდეით განმტკიცებულიყო, ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე შესრულებული წირვა-ლოცვით ქვეყანა ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო, საქართველოში ყოველივე ეროვნული აღორძინებულიყო, რაც ნათლად და ცხოვლად შეაგრძნობინებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებს ერთმანეთის ნათესაობასა და სხვა სახელმწიფოთაგან განსხვავებულობას.

დამოწმებული ლიტერატურა:

წმ. გიორგი მთაწმიდელი, 2007 – გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი), გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ., 2007.

კეკელიძე, 1960 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ, „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ლოლაშვილი, 1982 – ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., „მეცნიერება“, 1982.

მეტრეველი, 1966 – ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, კრებულში: შოთა რუსთველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., „მეცნიერება“, 1966.

მეტრეველი, 1971 – ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., „მეცნიერება“, 1971.

მიქაელ მოდრეკილი, 1978 – მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, I-II-III, გამოსაცემად მოამზადა ვაჟა გვახარიამ, თბ., 1978.

სუხიაშვილი, 2001 – მ. სუხიაშვილი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ. კრებულში: სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები, თბ., 2001.

უსპენსკი, 1965 – Н. Успенский, Древнерусское певческое искусство. М., 1965.

ქართული საეკლესიო..., 2002 – ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2002.

ძეგლები, 1963/1964 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1963-1964.

ძეგლები, 1967 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1967.

ჯავახიშვილი, 1998 – ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თხზ. XI, თბ., თსუ გამომც., 1998.